სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

66704739513422

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N220187896

რეგისტრაციის თარიღი

23.02.2022 წ

ნოტარიუსი: ნინო შოშიაშვილი
მისამართი: ქ.თბილისი, ლესელიძის ქ. 9
ტელეფონი: 599531441

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო
სანოტარო აქტი

ორი ათას ოცდაორი წლის ოცდასამ თებერვალს, მე, ნოტარიუს ნინო შოშიაშვილის, შემცვლელ პირს - ჯულიეტა არჩვაძეს, სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ლესელიძის ქ. №9-ში მომმართა **ლუდმილა ლაზარაშვილმა,** რომელმაც განაცხადა, სურს მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება. მე შევამოწმე მისი პირადობა, წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად: **ლუდმილა ლაზარაშვილმა** (დაბადებული: 14.08.1956წ. პირადი №01024010067, რეგისტრირებული: გორი, ს. ქვემო ნიქოზი მე–3 ქ. №1) მომმართა.
მე შევამოწმე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა, ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ შევადგინე წინამდებარე მინდობილობა, რომელიც წავაკითხე და განვუმარტე მიმნდობს. მას ასევე განემარტა, რომ მინდობილობა შესაძლოა, შეწყდეს ვადაზე ადრე, ერთ-ერთი მხარის სურვილით მეორესათვის შეტყობინების შემდეგ. მან წაიკითხა მინდობილობა და განაცხადა, რომ ტექსტი ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ სანოტარო აქტს.

მინდობილობა

ორი ათას ოცდაორი წლის ოცდასამ თებერვალს, მე, **ლუდმილა ლაზარაშვილი** (პირადი №01024010067), როგორც „მიმნდობი“, წინამდებარე მინდობილობით ვენდობი **ლევან ბებიას** (დაბადებული: 06.07.1984წ. პირადი №42001010146), როგორც „მინდობილ პირს“ და ვანიჭებ შემდეგ უფლებამოსილებას:
იყოს ჩემი წარმომადგენელი ნებისმიერ სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციასა და დაწესებულებებში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში, მათ შორის: იუსტიციის სახლში, საჯარო რეესრის ეროვნულ სააგენტოში, ქ. თბილისის მერიასა და მის დაქვემდებარებულ სამსახურებში, არქივებში, გამგეობაში, საკრებულოში, ზედამხედველობის სამსახურში, არქიტექტურის სამსახურში, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურში, ინფრასტრუქტურის, მუნიციპალური ინსპექციის სამსახურში, ასევე ნებისმიერი ინსტანციის სასამართლოში, თვითმმართველობის ორგანოებში, ნებისმიერი რაიონის გამგეობაში და სხვა ქალაქების მერიაში, საქართველოს ნოტარიუსთა პალატაში, სანოტარო ბიუროში, საამზომველო ფირმებში, ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დაცვის სამინისტროში, ძეგლთა დაცვის ეროვნული სააგენტოში და სხვა. ჩემს კუთვნილ უძრავ ნებისმიერ უძრავ ქონებაზე მშენებლობის, რემონტის, შენობის რეკონსტრუქციის, დემონტაჟის, შენობის ფასადზე აბრისა და რეკლამის განთავსების და სხვა ნებისმიერი სახის ნებართვების აღებასთან, მშენებლობის წარმოებასთან, დასრულებული სახით ჩაბარებასთან დაკავშირებით. რისთვისაც, იგი უფლებამოსილია: შეათანხმოს, შეიტანოს და მიიღოს/გამოითხოვოს პროექტი, საკადასტრო რუკა, საკადასტრო გეგმა, ტოპოგრაფიული გეგმა, აეროფოტოგადაღება, გარემოს ამსახველი ფოტომასალა, მონაწილეობა მიიღოს პროექტის შედგენაში, მიიღოს მშენებლობის და სხვა ნებისმიერი სახის ნებართვა. ასევე, ნებისმიერი სახელმწიფო ორგანოდან შეაგროვოს /მოიპოვოს/ გამოითხოვოს/ შეიტანოს აღნიშნული და ნებისმიერი სხვა საჭირო ცნობები, მოწმობები, ნებისმიერი სახის და შინაარსის დოკუმენტები, ზემოთ აღნიშნულ და ნებისმიერ სხვა სახელმწიფო დაწესებულებებში და უწყებებში, აწარმოოს ჩემს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ხელახალი აზომვა, ფართის დაზუსტება, კორექტირება, გამიჯვნა, გაყოფა, გაერთიანება, გააკეთოს ჩემი სახელით განცხადება, განაცხადი და/ან თანხმობა, მოახდინოს ელექტრონული დოკუმენტების ატვირთვა, გაასაჩივროს ადმინისტრაციული აქტები/დადგენილებები, ხელი მოაწეროს ჩემს მაგივრად ნებისმიერ საბუთს, დოკუმენტს, ხელშეკრულებას, გადაიხადოს ყოველგვარი გადასახადები, ჩემს სახელზე დაარეგისტრიროს საჯარო რეესტრში, აიღოს ამონაწერი და შეასრულოს ნებისმიერი მოქმედება, რაც პირდაპირ

არ არის მითითებული წინამდებარე მინდობილობაში, მაგრამ დაკავშირებულია აღნიშნული დავალებების შესრულებასთან.

მინდობილობა ძალაშია ორი ათას ოცდასამი წლის ოცდასამი თებერვლის ჩათვლით.

წინამდებარე მინდობილობა შედგენილია 03 (სამი) თანაბარი მნიშვნელობის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს ნ. შოშიაშვილის სანოტარო ბიუროს არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცემა მიმნდობს.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური: 10.00 (ათი) ლარი, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების 2011 წლის 29 დეკემბერის № 507 დადგენილების 31-ე მუხლისა, ასევე სარეგისტრაციო მოსაკრებელი 2.00 (ორი) ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011წ) 39-ე მუხლისა, სულ გადახდილია: 12.00 (თორმეტი) ლარი;

მიმნდობი ----------

ნოტარიუსის შემცვლელი პირი:
ჯულიეტა არჩვაძე ----------

